**განხილულია**
პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 14 სექტემბრის N5 სხდომაზე

**დამტკიცებულია**
შპს ,,თბილისის არქიმედეს სკოლის''
დირექტორის **2023 წლის 15 სექტემბრის N2-64 ბრძანებით**



# შპს ,,თბილისის არქიმედეს სკოლის''
# შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
# 2023-2030 წლები

## *შესავალი*

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

7 (შვიდ) წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებას.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

## *სკოლის შესახებ ინფორმაცია*

შ.პ.ს. თბილისის არქიმედეს სკოლა დაარსდა 2015 წელს. პირველ წელს სკოლაში მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

2016 წელს სკოლამ დაიმატა დაწყებითი საფეხური.

2018 წელს სკოლის ბაზაზე შეიქმნა წინა სასკოლო მოსამზადებელი ჯგუფი „Preschool“.

2019 წელს სკოლამ გახსნა ახალი ფილიალი რომელიც მდებარეობს სიმონ კანდელაკის 39-ში, სადაც მხოლოდ საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები სწავლობენ, ხოლო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები სწავლობენ ოთარ ონიაშვილის 6-ში.

2023 წელს თბილისის არქიმედეს სკოლამ მემორანდუმი გააფორმა Harbour.Space და TBS in Barcelona უნივერსიტეტებთან.

2023 წელს არქიმედეს სკოლას მიენიჭა სერტიფიკატი Times Higher Education (THE) რაც გულისხმობს საერთაშორისოდ აკრედიტირებული Councellor-ის მხარდაჭერას ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტური და გაცვლითი პროგრამების დროს, წარმატებულ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან.

## *სკოლის მისია*

შპს ,,თბილისის არქიმედეს სკოლის'' მისიაა აღზარდოს თავისუფალი და საღად მოაზროვნე პიროვნებები ჯანსაღ გარემოში. უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

## *სკოლის ხედვა*

სწავლისადმი სიყვარულის გაღვივება და მოსწავლეების წახალისება, დარჩნენ მთელი ცხოვრების მანძილზე ცნობისმოყვარეები, არ შეწყვიტონ განვითარება და კრიტიკული აზროვნებითა და კრეატიულობით ადაპტირდნენ ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებთან, მოახდინონ ცოდნის ახალ ტექნოლოგიებთან ინტეგრაცია და იყვნენ აქტიური და ინფორმირებული გლობალური მოქალაქეები.

## *სკოლის ღირებულებები:*

ღირებულებები არის ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ორგანიზაციის შიგნით და რაც განსაზღვრავს ჩვენს ქცევას, გადაწყვეტილებებსა და კორპორატიულ კულტურას.

- **თანამშრომლობა:** გუნდური მუშაობის, თანამშრომლობისა და პოზიტიური ურთიერთობის წახალისება მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის;

- **ადაპტაცია:** მოქნილობისა და ცვლილებებისადმი ადაპტაციის უნარის ხელშეწყობა, მოსწავლეების მომზადება თანამედროვეე სამყაროს დინამიური გამოწვევებისთვის;


- **ჯანსაღი გარემო:** უსაფრთხო და მზრუნველი გარემო, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრიორიტეტი, რომელიც მხარს უჭერს საერთო კეთილდღეობას;

- **ხარისხი:** მაღალი სტანდარტებისკენ სწრაფვა პიროვნულ ზრდასა და სწავლების პროცესში, სწავლის სიყვარულის გაღვივება და უწყვეტი გაუმჯობესების კულტურის ხელშეწყობა.

## *SWOT - ანალიზი*

იმისათვის, რომ სკოლამ მოახერხოს თავისი ფილოსოფიის შესრულება და მოსწავლეებისათვის საუკეთესო საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, აუცილებელია სწორად იქნეს დანახული სკოლის მიერ დასახული და შესრულებული სტრატეგიული გეგმის დადებითი და უარყოფითი, სუსტი და ძლიერი მხარეები.

ძლიერი მხარეები სუსტი მხარეები




შესაძლებლობები საფრთხეები

სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესის მექანიზმი ასევე გულისხმობს, სკოლის დონეზე კათედრების, ცალეული პედაგოგების, მშობლების და მოსწავლეების გამოკითხვას, ფოკუს ჯგუფი და ინტერვიუს განხორციელება.



ანალიზი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი და განვსაზღვროთ არსებული ვითარება. მისი მეშვეობით შესაძლებელია:

1. შევაფასოთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები
2. გავაანალიზოთ გარემო შესაძლებლობები
3. ვიცოდეთ რა საფრთხეები გვემუქრება.
4. დავადგინოთ სკოლის შესაძლებლობები

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
| --- | --- |
| - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემო;<br>- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ( ბიბლიოთეკასთან ინტეგრირებული კომპიუტერულ ლაბორატორია, ღია სპორტული მოედანი, აუზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების(ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) - ლაბორატორია,);<br>- უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო;<br>- გამართული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა;<br>- მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო და სწავლების მაღალი ხარისხი;<br>- ყველა საკლასო ოთახში მონიტორები,<br>- მუდმივად ხელმისაწვდომი ინტერნეტი(WI-FI)<br>- სკოლის თანამშრომელთა მოტივირებული, ენერგიული გუნდი;<br>- მასწავლებელთა პროფესლიული განვითარების ხელშეწყობა;<br>- ბაზარზე არსებულ სკოლებს შორის კონკურენტუნარიანობა;<br>- სასწავლო და შემოქმედებითი ღონისძიებები, პროექტები;<br>- არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;<br>- ეროვნულ გამოცდებზე სკოლის მოსწავლეების მიერ მიღწეული წარმატებები.<br>- სკოლაში გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღების პრაქტიკა;<br>- მემორანდუმი Harbour.Space და TBS in Barcelona უნივერსიტეტებთან.<br>- სერტიფიკატი Times Higher Education (THE) | - სასკოლო ცხოვრებაში საბაზო და საშუალო საფეხურის მშობელთა დაბალი დაინტერესება და ჩართულობა;<br>- ცალკე სამკითხველო დარბაზის არ არსებობა<br>- საკლასო ოთახებში კომპიუტერების, პროექტორების არარსებობა;<br>- საკუთარი შენობის არ ქონა |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| - ახალ შენობაში გადასვლა და გაფართოება<br>- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;<br>- ინვესტიციების მოზიდვა;<br>- საერთაშორისო პროგრამის გამრავალფეროვნება;<br>- მომსახურების ხარისხისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება;<br>- მასწავლებელთა პროფესიული | - ეკონომიკური მაჩვენებლის ცვლილებები<br>- განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ცვლილებები;<br>- ფორსმაჟორული სიტუაციის შექმნა ქვეყანაში;<br>- ბაზარზე პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. |

| | |
|---|---|
| განვითარება/გადამზადება; | |

*სტრატეგიული მიმართულებები:*

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;**
- **ადამიანური რესურსის განვითარება;**
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;**
- **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;**
- **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;**
- **მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება**
- **ორგანიზაციული განვითარება;**
- **დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია**

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

## 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

- *ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა, მათ შორის არაფორმალური განათლების განვითარება;*
- *საერთაშორისო პროგრამის დანერგვა/განვითარება;*
- *სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა;*
- *სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;*
- *აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა;*
- *გაცვლითი პროგრამების დანერგვა/განვითარება;*
- *საერთაშორისო ოლიმპიადებში, კონფერენციებში და პროექტებში მონაწილეობა;*

სწავლა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას. სკოლაში მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, არამედ ცოდნის გააზრების, გამოყენების, დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანისა და შეფასების გაკეთების უნარ-ჩვევებს.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 |
| **სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება** | ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა,მათ შორის არაფორმალური განათლების განვითარება | | | | | | | |
| | საერთაშორისო პროგრამის დანერგვა/განვითარება | | | | | | | |
| | სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა | | | | | | | |
| | სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება | | | | | | | |
| | აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა | | | | | | | |
| | გაცვლითი პროგრამების დანერგვა/განვითარება | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საერთაშორისო ოლიმპიადებში, კონფერენციებში და პროექტებში მონაწილეობა | | | | | | | |
| | | | | | | | | |

## *2. ადამიანური რესურსის განვითარება*

- *პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;*
- *აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა;*
- *ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება;*

ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა წარმოუდგენელი და შეუძლებელია კვალიფიციური, მომზადებული და პროფესიულად მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული კადრის გარეშე. ამის განსახორციელებლად სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას, კერძოდ: ტრენინგები, ვებინარები, სამუშაო შეხვედრები, გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა და ა.შ.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 |
| **ადამიანური რესურსის განვითარება** | პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება | | | | | | | |
| | აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება | | | | | | | |

## *3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება*

- *ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;*
- *საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება;*
- *საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება;*
- *ფინანსური მდგრადობა;*
- *ახალ სასწავლო შენობაში გადასვლა;*

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსის არსებობა, სასკოლო ინვენტარით და საჭირო რესურსებით სასწავლო დაწესებულების უზრუნველყოფა, მძლავრი საბიბლიოთეკო ფონდის შექმნა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის განვითარება, ლაბორატორიების გამდიდრება და სხვა.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 |
| **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება** | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | | | | | | | |
| | საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება | | | | | | | |
| | საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება | | | | | | | |
| | ფინანსური მდგრადობა | | | | | | | |
| | ახალი სასწავლო შენობაში გადასვლა | | | | | | | |

## *4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა*

- *საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;*
- *უსაფრთხოების ნორმების დაცვა;*
- *უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.*

სკოლაში მოსწავლე უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. სკოლაში შექმნილი უნდა იყოს ყველა პირობა, რათა დაკმაყოფილებული იყოს სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების მოთხოვნები. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეებსა და თანამშრომლებს აუცილებელი ცოდნა კრიტიკულ სიტუაციებში ქცევის შესახებ და განუვითაროს შესაბამისი უნარ-ჩვევები.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 |
| **უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა** | საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა | | | | | | | |
| | უსაფრთხოების ნორმების დაცვა | | | | | | | |
| | უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება | | | | | | | |

## 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

- *მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა;*
- *მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში;*
- *მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა;*
- *მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;*
- *მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება.*

სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება.

სკოლის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 |
| **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა** | მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა | | | | | | | |
| | მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში | | | | | | | |
| | მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა | | | | | | | |
| | მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა | | | | | | | |
| | მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება | | | | | | | |

## *6. მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება*

- *მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა;*
- *დამატებითი სერვისების განვითარება;*
- *მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.*

მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით ხდება სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და შემდგომში მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი მიღწევების წახალისება.
მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიცემა. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა კლუბებისა და დამატებითი მომსახურების შეთავაზება, სხვადასხვა სიახლეების შეთავაზება სასკოლო საზოგადოებისათვის.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 |
| **მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება** | მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა | | | | | | | |
| | დამატებითი სერვისების განვითარება | | | | | | | |
| | მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება | | | | | | | |

## *7.ორგანიზაციული განვითარება*

- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- სკოლის ცნობადობის გაზრდა;
- ახალ სასწავლო შენობაში გადასვლა და ავტორიზაციის პროცესის მონიტორინგი

პარტნიორულ ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის განვითარებისთვის; პირველ რიგში, მნიშვნელოვანია პარტნიორობა სკოლის შიგნით, რათა ერთად მოხდეს პრობლემების გადაჭრა დასახული მიზნის მისაღწევად, ასევე, სკოლის, გარეთ რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სკოლის განვითარებას.
ამასთან, აუცილებელია მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ და მომავალი ავტორიზაციის პროცესისათვის სკოლაში მოქმედი მექანიზმების დახვეწა.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 |
| **ორგანიზაციული განვითარება** | სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა | | | | | | | |
| | სკოლის ცნობადობის გაზრდა | | | | | | | |
| | ახალ სასწავლო შენობაში გადასვლა და ავტორიზაციის პროცესის მონიტორინგი | | | | | | | |

## *8. დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია*

- *ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების წყაროების მოძიება;*
- *ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელება/მონაწილეობის მიღება*

სკოლისათვის მნიშვნელოვანია, დაფინანსების წყაროების მოძიება. აღნიშნული სკოლას შესძენს მეტ ფინანსურ სტაბილურობას და მეტად განვითარების შესაძლებლობას.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 |
| **დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია** | ფინანსური მდგრადობის მიზნით დაფინანსების წყაროების მოძიება | | | | | | | |
| | ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელება/მონაწილეობის მიღება | | | | | | | |